ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 5 სექტემბრის სხდომის ოქმი N 6

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 5 სექტემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 20.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში ცვლილების შესახებ;
2. მიმდინარე საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნა რომ სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი და წამოაყენა წინადადება, რომ საბჭოს მდივნად, ერთჯერადად, არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი ლელა ალხაზიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საბჭოს მდივნად, ასოცირებული პროფესორის, ლელა ალხაზიშვილის კანდიდატურას.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს მდივნად, ერთჯერადად, არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი ლელა ალხაზიშვილი.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში ცვლილების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა სხდომის თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების და შემოსული განცხადებების რაოდენობა და გამოთქვა მოსაზრება, გაიზარდოს იმ სამაგისტრო პროგრამების ვაკანტური ადგილების რაოდენობა, რომლებზედაც შემოსული განცხადებები მეტია ვაკანტურ ადგილებზე, იმ სამაგისტრო პროგრამების ვაკანტური ადგილების რაოდენობის ხარჯზე, რომლებზეც შემოსული განცხადებების რაოდენობა ნაკლებია ვაკანტურ ადგილებზე. (-13)
აზრი გამოთქვეს: პროფესორმა მ.ხაჩიძემ, პროფესორმა ო. მუკბანიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამების ვაკანტური ადგილების რაოდენობის დამტკიცების საკითხი აღნიშნული ცვლილებებით.(იხ.დანართი1)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.
დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამების ვაკანტური ადგილების ახალი რაოდენობა.(იხ.დანართი1)

2. დღის წესრიგის მეორე საკითხი: მიმდინარე საკითხები. მიმდინარე საკითხებში განხილული იყო:

2.1 საბაკალავრო პროგრამაში „ფიზიკა“ ცვლილებების შესახებ;

2.2 ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება“ ცვლილებების შესახებ;

2.3 სამაგისტრო პროგრამაში „გამოყენებითი ბიომეცნიერებები“ ცვლილებების შესახებ.

2.1 **მოისმინეს** პროფესორ ნანა შათაშვილის ინფორმაცია. მან განსახილველად წარმოადგინა ცვლილებები საბაკალავრო პროგრამაში „ფიზიკა“. (იხ.დანართი 2)

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი ცვლილებების დამტკიცების შესახებ საბაკალავრო პროგრამაში „ფიზიკა“.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები საბაკალავრო პროგრამაში „ფიზიკა“.(იხ.დანართი 2)

2.2 **მოისმინეს** პროფესორ მ. ხაჩიძის ინფორმაცია. მან განსახილველად წარმოადგინა ცვლილებები ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერებები“.(იხ.დანართი 3)

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი ცვლილებების დამტკიცების შესახებ ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერებები“.
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერებები“.(იხ.დანართი 3)

2.3 **მოისმინეს** ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის ასოცირებული პროფესორის თ. ჭელიძის ინფორმაცია. მან განსახილველად წარმოადგინა ცვლილებები სამაგისტრო პროგრამაში „გამოყენებითი ბიომეცნიერებები“.(იხ.დანართი 4)

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი ცვლილებების დამტკიცების შესახებ სამაგისტრო პროგრამაში „გამოყენებითი ბიომეცნიერებები“.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები სამაგისტრო პროგრამაში „გამოყენებითი ბიომეცნიერებები“. (იხ.დანართი4)

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

მდივანი, ასოცირებული პროფესორი
ლელა ალხაზიშვილი